მოკლე ბიოგრაფია
ირინე ბოხაშვილი 1993-1999წწ. სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. ამავე უნივერსიტეტში დაასრულა ასპირანტურა სისხლის სამართლის პროცესის სპეციალიზაციით (2000-2002 წწ.) და 2004 წელს წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო წესით განხილვის პრობლემები“, პროფესორ აპოლონ ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. 2011-2012 წწ. იყო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის „Fulbright”-ის მონაწილე (ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ). 2007-2011 წწ. ხელმძღვანელობდა იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთის ბიუროს. 2000 წლიდან დღემდე აქვს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება. 2012 წლიდან თანამშრომლობს კავკასიის უნივერსიტეტთან, სადაც 2024 წლის მაისიდან უკავია სამართლის სკოლის პროფესორის თანამდებობა (აფილირებული), 2018 წლიდან დღემდე არის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი. 2007 წლიდან დღემდე არის სხვადასხვა საბჭოს თუ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მათ შორის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი. 2004 წლიდან დღემდე აქვს გამოცდილება სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში, ტრენერთა ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობის. 2002 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამეცნიერო თარგმანი (თანაავტორობით).
გამოქვეყნებული სტატიები
1. Bokhashvili, Irine (2025). The Role of the Constitutional Court of Georgia in Aligning Criminal Procedure Legislation with European Standards. e-journal: L’europe Unie/United Europe, 22, 38-52. 2. ბოხაშვილი, ირინე (2023). საპროცესო შეთანხმების პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი "სამართალი" (თსუ), 1, 241-260 (ქართულ და ინგლისურ ენებზე. 3. ბოხაშვილი, ირინე. ხერხეულიძე, ხატია (2022). სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმის დისტანციურად განხილვისას. სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზი (კავკასიის უნივერსიტეტი), 2, 48-66. 4. ბოხაშვილი, ირინე. ხერხეულიძე, ხატია (2021). წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის გადაწყვეტის დისკრეციულობა. სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზი (კავკასიის უნივერსიტეტი), 1, 46-55. 5. ბოხაშვილი, ირინე (2020). არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თავისებურებანი სისხლის სამართლის პროცესში. სამეცნიერო შრომების კრებული (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი), 2, 63-70 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).